საჯარო სამართლის იურიდიული პირი –
ივანე ჯავახიშვილის სახელობის
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
LEGAL ENTITY OF PUBLIC LAW –
IVANE JAVAKHISHVILI TBILISI STATE UNIVERSITY

N 546/02-05-50
22/01/2019

546-02-05-50-2-201901221114

შპს ,,აბსოლუტპლუსი''-ს დირექტორს

ბატონ ავთანდილ რიჟამაძეს

ბატონო ავთანდილ,

გაცნობებთ, რომ სსიპ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტსა და შპს ,,აბსოლუტპლუსი''-ს შორის უნივერსიტეტის პირველი სასწავლო კორპუსის მიმდებარედ ბაზალტის ქვებით მოკირწყლული ეზოს მოსაპირკეთებელი სამუშაოებისა და წყალსადენის მილის რეაბილიტაციის სამუშაოების შესყიდვის მიზნით, 2018 წლის 13 სექტემბერს გაფორმებული #939/06 სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულებით დადგენილი მიწოდების ვადა დასრულდა 2018 წლის 3 ოქტომბერს, ხოლო მიწოდება განხორციელდა 13 ნოემბერს. აქედან გამომდინარე, ხელშეკრულების 10.1 პუნქტის თანახმად, შპს ,,აბსოლუტპლუსი''-ს დაეკისრა პირგასამტეხლო (40 ვადაგადაცილებულ დღეზე, სახელშეკრულებო თანხის 0.05%) 482.80 (ოთხასოთხმოცდაორი ლარი და 80 თეთრი) ლარის ოდენობით (თსუ ინსპექტირების დასკვნა #5, 16.01.2019წ.).

ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, მოთხოვნის უზრუნველყოფის მიზნით, გთხოვთ პირგასამტეხლო შეტყობინების მიღებიდან არაუგვიანეს 1 (ერთი) თვის ვადაში გადარიცხოთ შემდეგ ანგარიშზე:

**მიმღების დასახელება - ხაზინის ერთიანი ანგარიში; მიმღების ბანკი -სახელმწიფო ხაზინა, ბანკის კოდი TRESGE22; ანგარიშის # 7 0896 7501 საიდენტიფიკაციო კოდი 204864548.**

პატივისცემით,

ნუნუ ოვსიანიკოვა

ადმინისტრაციის ხელმძღვანელი
ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი